ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-0324046120-03
თარიღი: 15.02.2024 18:52
ვადა: 18.03.2024

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01240463563 განცხადების თარიღი: 15.02.2024
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

საკრებულოს დადგენილებების პროექტების გაგზავნის თაობაზე

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-0324046120-03
15.02.2024 : 18:52
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01240463563**
თარიღი: **15/02/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტებს: „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M_2 ან M_3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, აგრეთვე ზემოაღნიშნული პროექტების მოწონების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 15 თებერვლის №24.244.278 განკარგულებას.

დანართი: RAR–ის ერთი ფაილი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 24.244.278
15 / თებერვალი / 2024 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგი დადგენილებების პროექტების მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ბ.ა“ და „ე.ე^2“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს:

ა) „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M_2 ან M_3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართი 2-ის შესაბამისად;

გ) „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართი 3-ის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტები წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

<u>დანართი 1</u>
<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №-----

2024 წლის -- ---------- **ქ. თბილისი**

„სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M_2 ან M_3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M_2 ან M_3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში (matsne.gov.ge, 28/12/2023, სარეგიტრაციო კოდი: 010250020.35.101.017169) და დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტშით დამტკიცებული დანართი 1-ის მე-2 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ავტობუს(ებ)ის ვიზუალური მდგომარეობის ამსახველი ფოტოები, ამასთან ავტობუს(ებ)ის ძარის ვიზუალური მდგომარეობა აშკარად უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მათი მეშვეობით კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეების გადაყვანის თაობაზე და ძარის ვიზუალი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას;“;

ბ) მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$დ^1$“ ქვეპუნტი:

„$დ^1$. ავტობუს(ებ)ის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების წარმატებით გავლის დამადასტურებელი მოწმობა;“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M_2 ან M_3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტით ცვლილებები შედის „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M_2 ან M_3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილების დანართში, კერძოდ მე-2 მუხლის პირველი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტში კონკრეტდება, რომ ავტობუსის ძარის ვიზუალური მდგომარეობა აშკარად უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მათი მეშვეობით კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეების გადაყვანის თაობაზე, რათა მაკონტროლებლის და სხვა მძღოლების მიერ მარტივად მოხდეს მათი იდენტიფიცირება. ამასთან, საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებული პირების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტების დამტკიცების მიზნით, დამსაქმებელის მიერ წერილობითი განცხადებით სააგენტოში წარსადგენ დოკუმენტებს ემატება ავტობუს(ებ)ის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების წარმატებით გავლის დამადასტურებელი მოწმობა, ვინაიდან მარშრუტის შეთანხმებისას დადგინდეს მარშრუტზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალების კატეგორია და არის თუ არა ის ტექნიკურად გამართული.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

<u>დანართი 2</u>
<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №-----

2024 წლის -- ---------- **ქ. თბილისი**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში (matsne.gov.ge, 28/12/2023, სარეგიტრაციო კოდი: 010250020.35.101.017168) და დადგენილების:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ე) იმ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართი 2-ით დადგენილი წესით გასცა თანხმობა და რომელიც ამ თანხმობის შესაბამისად მოძრაობს;“.

2. პირველი მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 მუხლი:

„**მუხლი 1^1**

1. ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები, სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირების მიზნით, ვალდებულნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში მოთხოვნილ სხვა დამატებით ინფორმაციასთან ერთად წარადგინონ შემდეგი ინფორმაცია:

ა) ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის წერილობითი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ M_3, N_2, N_3 კატეგორიების სატრანსპორტო საშუალება, რეგისტრაციის ნომრის მითითებით, გამოიყენება საჯარო დაწესებულების საქმიანობის მიზნებისთვის აკრძალულ პერიოდში და თან დაურთოს სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობა, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოპერატიული ან სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის წერილობითი ინფორმაცია იმასთან

დაკავშირებით, რომ M_3, N_2, N_3 კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებაზე, რეგისტრაციის ნომრის მითითებით, გაცემულია ნებართვა ლურჯი ან ლურჯი და წითელი მოელვარე სპეციალური ციმციმა სიგნალის გამოყენებაზე და თან დაურთოს აღნიშნული ნებართვის ასლი, ასევე სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობა და სატრანსპორტო საშუალების კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაწესებულების ხელმძღვანელის წერილობითი ინფორმაცია M_3 კატეგორიიის სატრანსპორტო საშუალების შესახებ, რეგისტრაციის ნომრის მითითებით და სატრანსპორტო საშუალების კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტი;
დ) ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მუნიციპალური/სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის წერილობითი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ M_3, N_2, N_3 კატეგორიიის სატრანსპორტო საშუალება, რეგისტრაციის ნომრის მითითებით, გამოიყენება ინფრასტრუქტურული პროექტების (კონკრეტული პროექტის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციით) განხორციელებისათვის აკრძალულ პერიოდში და დაურთოს სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობა, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტი.
2. ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.გ“, „ა.ვ“, „ა.ზ“, „ა.ი“-„ა.ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირები, სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირების მიზნით, ვალდებულნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მოთხოვნილ სხვა დამატებით ინფორმაციასთან ერთად, წარადგინონ ინფორმაცია M_3, N_2, N_3 კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების თაობაზე, რეგისტრაციის ნომრის მითითებით, რომლებიც გამოყენებული იქნებიან აკრძალულ პერიოდში.
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ინფორმაციის წარდგენისას, თუ უფლებამოსილ პირს საკუთრებაში არ ჰყავს სატრანსპორტო საშუალება, მაშინ იგი ვალდებულია ინფორმაციას დაურთოს სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის წერილობითი თანხმობა.“.

3. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2**
1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების ჩამონათვალი, რომლებზეც ვრცელდება ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის აკრძალვა (გარდა ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი გამონაკლისებისა), დამტკიცდეს დანართი 1-ის შესაბამისად.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 1-ით გათვალისწინებული საავტომობილო გზების გარდა სხვა საავტომობილო გზებზე არ ვრცელდება ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა.“.

4. პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი 2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
5. მე-2 მუხლით დამტკიცებული დანართი 1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტით ცვლილებები შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში, პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით და დადგენილებას პირველი მუხლის შემდეგ ემატება 1^1 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარსადგენ რიგ ინფორმაციას/დოკუმენტაციას იმ პირების მიერ, ვისზეც არ გავრცელდება შეზღუდვები. ამასთან, დანართი ხდება დანართი 1 და დადგენილებას ემატება დანართი 2, რომლითაც განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს მიერ ამავე დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თანხმობის მიცემის წესი, სადაც გათვალისწინებულია თანხმობის მიცემის მიზნით წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა და წარდგენილი დოკუმენტების სააგენტოს მიერ განხილვა.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

<u>დანართი 3</u>
<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №-----

2024 წლის ---- ----------

ქ. თბილისი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 19/05/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016725) შევიდეს შემდეგი ცვლილება და დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული წესის:

1. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. სააგენტოს თანამშრომლები სამსახურებრივ უფლებამოსილებას, როგორც წესი, სპეციალური ფორმის ტანსაცმლით ახორციელებენ. თანამშრომლის სპეციალური ფორმის ტანსაცმლის ნიმუშებსა და გამოყენების წესს ამტკიცებს სააგენტოს უფროსი.“.

2. მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული წესის დანართი 1 დამტკიცდეს თანდართული რედაქციით.

3. მე-5 მუხლს, 2^1 პუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^2 პუნქტი:

„2^2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური, რომელიც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს ჩასატარებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების კონტროლს (ინსპექტირებას), უფლებამოსილია შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიაწოდოს წერილობითი ინფორმაცია, სადაც აღნიშნული იქნება, რომ მიმწოდებელი სამუშაოების შესრულებას განახორციელებს შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის (დროებითი ან მუდმივი) შესაბამისად და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური უზრუნველყოფს სქემის შესაბამისად სამუშაოების შესრულების კონტროლს, ამ შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ განახორციელებს სამუშაოების მიმდინარეობისას საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის კონტროლს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევთა კოდექსის 134^1 მუხლის შესაბამისად.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125[2] მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134[1] მუხლით, 135-ე-135[5] მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125[2] მუხლით, 135-ე-135[5] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

წარმოდგენილი ცვლილების შესაბამისად, დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლს ემატება მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვით „სააგენტოს თანამშრომლები სამსახურებრივ უფლებამოსილებას, როგორც წესი, სპეციალური ფორმის ტანსაცმლით ახორციელებენ. თანამშრომლის სპეციალური ფორმის ტანსაცმლის ნიმუშებსა და გამოყენების წესს ამტკიცებს სააგენტოს უფროსი.“. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მოხდეს საზოგადოებაში სააგენტოს თანამშრომლების ცნობადობის ამაღლება. ზემოაღნიშნული წესის მე-5 მუხლს ემატება 2[2] პუნქტი, რომლის მიხედვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, რომელიც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს ჩასატარებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების კონტროლს, უფლებამოსილია შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიაწოდოს წერილობითი ინფორმაცია, სადაც აღნიშნული იქნება, რომ მიმწოდებელი სამუშაოების შესრულებას განახორციელებს შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის (დროებითი ან მუდმივი) შესაბამისად და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური უზრუნველყოფს სქემის შესაბამისად სამუშაოების შესრულების კონტროლს, ამ შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ განახორციელებს სამუშაოების მიმდინარეობისას საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის კონტროლს. აღნიშნული ცვლილების ამოქმედების შემდეგ განხორციელდება მერიის სტრუქტურული ერთეულის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის კოორდინირებული ფუნქციონირება.

ამასთან, დადგენილებით დამტკიცებული წესის დანართი 1 მტკიცდება ახალი რედაქციით, ხოლო წარმოდგენილი დადგენილების პროექტით გათვალისწინებული მკაცრი აღრიცხვის ფორმის ნიმუში, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან (სამინისტროს პასუხის ქსეროასლი ერთვის პროექტს).

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.